

**შპს „სპრაიბ საქართველო“
ფინანსური ანგარიშგება
დამთავრებული წლისთვის
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების
ანგარიში**

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

შინაარსი

მმართველობის პასუხისმგებლობების შესახებ განცხადება – გვერდი 3

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში – გვერდი 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება – გვერდი 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება – გვერდი 7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება – გვერდი 8

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება – გვერდი 9

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა – გვერდი 10

2 ანგარიშგების შედგენის საფუძველი – გვერდი 10

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა – გვერდი 10

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და პროფესიული მსჯელობა – გვერდი 11

5 ძირითადი საშუალებები – გვერდი 12

6 სავაჭრო დებიტორული და სხვა მოთხოვნები – გვერდი 14

7 ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები – გვერდი 13

8 სავაჭრო კრედიტორული და სხვა დავალიანებები – გვერდი 14

9 შემოსავალი – გვერდი 15

10 გაყიდული მომსახურების თვითღირებულება – გვერდი 19

11 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები – გვერდი 20

12 ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები – გვერდი 20

13 დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები – გვერდი 21

შპს სპრაიბ საქართველო

**ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში**

მმართველობის პასუხისმგებლობების შესახებ განცხადება

შპს „სპრაიბ საქართველო“-ს მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას მცირე და საშუალო საწარმოთათვის განკუთვნილი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად;
- შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და მის თანმიმდევრული გამოყენებას;
- გონივრული და წინდახედული პროფესიული მსჯელობისა და შეფასებების განხორციელებას;
- ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას უწყვეტი ფუნქციონირებადის პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებული გარემოებები ამ პრინციპის გამოყენებას შეუსაბამოს ხდის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს:

- ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შექმნას, დანერგვასა და შენარჩუნებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სწორად და ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად წარმართვას;
- კომპანიის აქტივების დაცვასთან დაკავშირებული გონივრული ზომების მიღებას;
- თაღლითობისა და სხვა არამართლზომიერი ქმედებების პრევენციასა და გამოვლენას.

ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდს, დამტკიცდა მენეჯმენტის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით:



მიხეილ ლეჟავა

დირექტორი

შპს „სპრაიბ საქართველო“

09 ივლისი, 2025 წელი

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხები წარმოდგენილია ლარში

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში

შპს „სპრაიბ საქართველო“ მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სპრაიბ საქართველო“ (წინამდებარე „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, შესაბამისი წლისთვის სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებებსა და დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი მოსაზრებით, თანდართული ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად წარადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი ფინანსური შედეგებსა და ფულადი ნაკადების მდგომარეობას შესაბამისი წლის განმავლობაში, რომლებიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო საწარმოთათვის განკუთვნილი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS for SMEs) მოთხოვნებთან.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები აღნიშნულ სტანდარტებზე დაყრდნობით უფრო დეტალურად არის განმარტებული სექციაში — „აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის დროს“. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი კომპანიის მიმართ საერთაშორისო პროფესიული ეთიკის სტანდარტების საბჭოს (IESBA) პროფესიული ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მოთხოვნებთან და საქართველოში აუდიტზე მოქმედ ეთიკური რეგულაციებთან შესაბამისობაში და შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ გვჯერა, რომ აუდიტის დროს მიღებული მტკიცებულებები არის საკმარისი და შესაბამისი, რათა შევქმნათ საფუძველი ჩვენი მოსაზრებისთვის.

მენეჯმენტის და მართვის ორგანოების პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებების მიმართ

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთათვის განკუთვნილი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელსაც მენეჯმენტი განსაზღვრავს საჭიროა იმისთვის, რომ ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავდეს მატერიალურ უზუსტობას, თუნდაც თაღლითობის ან შეცდომის შედეგად.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, მენეჯმენტს ასევე პასუხისმგებელია კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირებადობის უნარის შეფასებაზე, შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებასა და უწყვეტი ფუნქციონირებადობის პრინციპით ანგარიშგების მომზადებაზე, თუ არ დგინდება კომპანიის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა ან სხვა რეალური ალტერნატივის უქონლობა.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების ზედამხედველობაზე.

აუდიტორების პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში არ შეიცავს მატერიალურ უზუსტობებს, რომელიც გამოწვეულია თაღლითობის ან შეცდომის შედეგად, და გამოვუშვათ აუდიტორის ანგარიში, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას.

გონივრული რწმუნება არის მაღალი ხარისხის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია, რომ საერთაშორისო აუდიტის სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს მატერიალურ უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა მატერიალურად, თუ ინდივიდუალურად ან ერთობლივად, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში (გაგრძელება)

აუდიტორების პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისას (გაგრძელება)

საერთაშორისო აუდიტის სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვინმართ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ჩვენ ასევე:

- ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების მატერიალური უზუსტობის რისკებს, იქნება ეს თაღლითობის თუ შეცდომის შედეგად, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს, რომლებიც ამ რისკებს პასუხობენ, და ვიღებთ საკმარის და შესაბამის მტკიცებულებებს ჩვენი მოსაზრებისთვის საფუძვლის დასადგენად. თაღლითობის შედეგად მატერიალური უზუსტობის აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შემთხვევაში, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს შეთქმულებას, ფალსიფიკაციას, არასრულყოფილ ინფორმაციას, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ვიღებთ შიდა კონტროლის გაგებას რომელიც რელევანტურია აუდიტის მიზნებისთვის, რათა შევქმნათ შესაბამისი აუდიტის პროცედურები რომელიც შესაბამისია გარკვეულ შემთხვევებში, თუმცა არა იმისთვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას და მენეჯმენტის მიერ გაცემული სააღრიცხვო შეფასებებისა და მასთან დაკავშირებული გამჟღავნებების გონივრულობას.
- ვაჭამებთ მენეჯმენტის მიერ უწყვეტი ფუნქციონირებადობის პრინციპისა და, მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, არის თუ არა რაიმე მატერიალური უზუსტობა, რომელიც ეხება ისეთ მოვლენებს ან პირობებს, რაც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვებს აჩენდეს კომპანიის უნარის მიმართ უწყვეტად გააგრძელოს ფუნქციონირება. თუ დავასკვნით რომ არსებობს მატერიალური უზუსტობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ ამ საკითხებზე ფინანსური ანგარიშგებების შესაბამის გამჟღავნებებში ან, თუ ისინი არასაკმარისია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის ანგარიშის გამოქვეყნების თარიღით არსებულ მტკიცებულებებზე, თუმცა მომავალში მომხდარმა მოვლენებმა ან პირობებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირებადობის შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების საერთო წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის გამჟღავნებებს, და ვადგენთ, წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიში არსებულ ოპერაციებს და მოვლენებს სამართლიანად.

ჩვენ ვანვლით ინფორმაციას კომპანიის ხელმძღვანელობას, მათ შორის აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვან აუდიტორულ შედეგების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან დარღვევებზე, რომლებიც ჩვენ გამოვავლინეთ აუდიტის პროცესში.

მიხეილ აბაიძე

სერთიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული ფირმა რეგისტრაციის ნომერი: SARASF 320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A 865011

09 ივლისი, 2025 წელი

თბილისი, საქართველო



შპს სპრაიბ საქართველო
ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ახსნა- განმარტებითი შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	333,180	271,474
სულ გრძელვადიანი აქტივები		333,180	271,474
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	567,845	687,677
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		12,415	24,166
ფული და ფულის ექვივალენტები	7	1,044,952	496,524
მიმდინარე აქტივები		1,625,212	1,208,367
სულ აქტივები		1,958,392	1,479,841
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	552,601	623,537
სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელები		141,163	43,319
მიმდინარე ვალდებულებები		693,764	666,856
კაპიტალი			
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		451,643	993,135
გაუნაწილებელი მოგება		812,985	(180,150)
სულ კაპიტალი		1,264,628	812,985
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,958,392	1,479,841



მიხეილ ლეჟავა
დირექტორი
შპს „სპრაიბ საქართველო“
09 ივლისი, 2025 წელი

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში

მოგება-ზარალისა და სხვა სრული

შემოსავლების ანგარიშგება

	ახსნა- განმარტებითი შენიშვნები	31-დეკ-24	31-დეკ-23
შემოსავალი	9	6,071,108	5,206,525
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(2,463,336)	(1,679,664)
საერთო მოგება/ზარალი		3,607,772	3,526,861
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(3,090,719) (25,628)	(2,530,650) (26,642)
საოპერაციო საქმიანობის შედეგი		(3,116,347)	(2,557,292)
საოპერაციო მოგება/ზარალი		491,425	969,569
ფინანსური ხარჯები		-	(5,063)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		192	-
მოგება/ზარალი გაცვლითი კურსის სხვაობიდან		(39,974)	28,629
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		451,643	993,135
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		451,643	993,135



მიხეილ ლეუავა

დირექტორი

შპს „სპრაიბ საქართველო“

09 ივლისი, 2025 წელი

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31-Dec-24	31-Dec-23
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება გადასახადებამდე	451,643	993,135
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	80,328	44,002
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	531,971	1,037,137
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	119,832	(259,640)
ცვლილებები გადახდილ ავანსებსა და მოკლევადიან აქტივებში	11,750	(18,166)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	97,844	(101,165)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(70,936)	(278,270)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	690,461	379,896
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფული	(150,223)	(287,381)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	8,190	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(142,033)	(287,381)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	-	300,000
დაფარული სესხი	-	(300,000)
მინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ნაღდი ფულისა და მისი ექვივალენტების წმინდა ცვლილება	548,428	92,515
ფულადი სახსრები და ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	496,524	404,009
ფულადი სახსრები და ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,044,952	496,524

მიხეილ ლეჟავა

დირექტორი

შპს „სპრაიბ საქართველო“

09 ივლისი, 2025 წელი

შპს სპრაიბ საქართველო
ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	(180,150)	(180,150)
წლის მოგება/ზარალი	993,135	993,135
2023 წლის 31 დეკემბერი	812,985	812,985
წლის მოგება ზარალი	451,643	451,643
2024 წლის 31 დეკემბერი	1,264,628	1,264,628



მიხეილ ლეჟავა
დირექტორი
შპს „სპრაიბ საქართველო“
09 ივლისი, 2025 წელი

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

შენიშვნა 1. კომპანია და მისი მთავარი საქმიანობა

შპს “სპრაიბ საქართველო” (კომპანია) დაარსდა საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2020 წლის დეკემბერში. რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნინო რამიშვილის ქუჩა №18, არასაცხოვრებელი ფართი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა თამაშების მომწოდებლებისგან ლიცენზირებული თამაშების მიღება და მათი ქველიცენზირების გზით მიწოდება საქართველოს ბაზარზე. კომპანიის 100% წილი ეკუთვნის Spribe OÜ-ს, რომელიც რეგისტრირებულია ესტონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით, სარეგისტრაციო ნომრით 14540763, მისამართი: Harju Maakond-ში, Kesklina linnaosa, Tartu mnt 83-701; 10115 Tallinn.

ხელმძღვანელები / ოფიციალური წარმომადგენლები:

- დირექტორი — გრიგოლ გელაშვილი, 01018002719

2024 წელს კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა იყო 45 თანამშრომელი.

შენიშვნა 2. მომზადების საფუძველი

2.1 შესაბამისობის ანგარიში

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამ სტანდარტების შესაბამისი ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკულ აღრიცხვის შეფასებებსა და მენეჯმენტის გონივრულ მსჯელობას აღრიცხვის პოლიტიკის მიზანშეწონილ გამოყენებაში. მნიშვნელოვანი მსჯელობები და შეფასებები, რომლებიც ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას განხორციელდა, დეტალურად განხილულია შენიშვნა 3-ში.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ოდენობები დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში ("GEL"). კომპანიის ანგარიშგების პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.3 უწყვეტი ფუნქციონირებადობის პრინციპი

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას უწყვეტი ფუნქციონირებადობის პრინციპის შესაბამისად და იყენებს ამ პრინციპს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მენეჯმენტს სურს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ან სხვა რეალური ალტერნატივა არ გააჩნია.

მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ კომპანია ფუნქციონირებს უწყვეტად, არ არსებობს მნიშვნელოვანი გაურკვევლობები ამ თვალსაზრისით და შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირებადობის პრინციპის მიხედვით.

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალისა და დაგროვილი მოგება/ (ზარალის)გან.

კომპანია მართავს კაპიტალს ისე, რომ უზრუნველყოს უწყვეტი ფუნქციონირებადობის შენარჩუნება და ადეკვატური ამონაგების უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეთათვის.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული მთავარი სააღრიცხვო პოლიტიკა დეტალურად მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, გარდა შემთხვევებისა, როცა სხვაგვარად არის მითითებული.

3.1 ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც ორგანიზაცია ძირითადად ოპერირებს ("ფუნქციური ვალუტა"). ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი აღრიცხვის პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები კონვერტირებულია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის მოქმედი სავალუტო კურსის გამოყენებით.

მონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღის მდგომარეობით კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გაცვლითი კურსის განსხვავებით მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება/ზარალში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

ვალუტა	31.12.2024	31.12.2023
აშშ დოლარი (USD)	2.8068	2.6894
ევრო (EUR)	2.9306	2.9753
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი (GBP)	3.5349	3.4228

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში ოპერაციის განხორციელების დღის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების დღისთვის დენომინირებულია ფუნქციურ ვალუტაში იმ დღისთვის მოქმედი კურსით.

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

მონეტარულ მუხლებზე უცხოურ ვალუტაში მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს განსხვავებას ფუნქციურ ვალუტაში ამორტიზირებულ ღირებულებას შორის პერიოდის დასაწყისში რომელიც კორექტირდება დარიცხული ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და გადახდების გათვალისწინებით, და იმავე ელემენტის ანგარიშგების დღის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში ამორტიზირებულ ღირებულებას შორის.

არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციურ ვალუტაში იმ დღის მოქმედი კურსით რომელიც მოქმედებდა სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს. ისტორიული ღირებულებით შეფასებული არამონეტარული მუხლები კონვერტირდება ტრანზაქციის დღის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში კონვერტაციისას არსებული სხვაობები აღიარდება მოგება/ზარალში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახადებს, დაუბრუნებელ შესყიდვის გადასახადებს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებად ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეული შედგება სხვადასხვა სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი კომპონენტებისგან, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკეულ ერთეულებად.

აქტივის გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი განვეისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირია:

- საოფისე ტექნიკა — 4-5 წელი
- ავეჯი და ინფრასტრუქტურა — 5 წელი

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში

3.4 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდები აღიარებულია როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან თუ გადახდა ეხება აქტივს, რომელიც საწყისად აღირიცხება როგორც გრძელვადიანი.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ბარალში, როდესაც მიიღება საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ბარალი აღიარებულია წლის მოგება-ბარალში.

დანარჩენი წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება/ბარალში მას შემდეგ, რაც საქონელი ან მომსახურება მიღებულია. თუ არსებობს მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი, აქტივი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და გაუფასურების ბარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ბარალში.

3.5 ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები

ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები მოიცავს ხელთ არსებული ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში.

3.6 კომპენსირება (გადაფარვა)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ასევე შემოსავალი და ხარჯები კომპენსირდება და წარდგენილია წმინდა ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონიერად აღიარებული უფლება კომპენსაციის განხორციელებაზე და არსებობს განზრახვა ანგარიშსწორების წმინდა მეთოდით ან აქტივის რეალიზაციასა და ვალდებულების ერთდროულ დაფარვაზე.

შემოსავლები და ხარჯები წარდგენილია წმინდა ღირებულებით მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ნებადართულია IFRS for SMEs-ის მიხედვით, ან იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს მსგავს ტრანზაქციათა ჯგუფის შედეგად მიღებულ მოგება/ბარალთან, როგორიცაა კომპანიის სავაჭრო საქმიანობა.

შენიშვნა 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.7 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს აქციონერის შენატანებს კომპანიის საწესდებო კაპიტალში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე. დაგროვილი მოგება ან ბარალი მოიცავს კომპანიის მიმდინარე და წინა პერიოდის დაგროვილი მოგებას ან ბარალს. ყველა

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხები წარმოდგენილია ლარში

ტრანზაქცია კომპანიის დამფუძნებლებთან, როდესაც ისინი მოქმედებენ როგორც მფლობელები, ცალკეულად წარმოდგენილია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. დივიდენდები აღიარებულია ვალდებულებად იმ პერიოდში, რომელშიც მათი განაწილება დამტკიცებულია აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარებულია გადახდის მომენტში.

3.8 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი წარმოადგენს წლის განმავლობაში დასაბეგრ მოგებაზე/ზარალზე გადასახადს, რომელიც დაითვლება იმ გადასახადის განაკვეთით, რომელიც ანგარიშგების დღეს არის მოქმედი ან ფაქტობრივად მიღებულია, და ასევე მოიცავს წინა წლების მოგების გადასახადთან დაკავშირებულ კორექტირებებს.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედი მოგების გადასახადის სისტემა („ესტონური მოდელი“) ითვალისწინებს 0% საშემოსავლო განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან მოგების გადასახადს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება მოგების განაწილება (მაგ., დივიდენდების სახით) ან იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც განიხილება როგორც არაპირდაპირი განაწილება (მაგ., სარგებელი, საჩუქრები, არასაბაზრო ფასებში ოპერაციები დაკავშირებულ პირებთან, არაეკონომიკური დანახარჯები და სხვა.).

განაწილებული დივიდენდებიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღიარებულია დანახარჯად იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდი გამოცხადდება, მიუხედავად იმისა, როდის მოხდება მისი რეალური გადახდა ან რომელი წლის მოგებიდან ხდება განაწილება. გადასახადის განაკვეთი არის განაწილებული წმინდა თანხის 15/85.

დივიდენდების განაწილებაზე დაკისრებული გადასახადის შემთხვევაში, რომელიც წარმოიშობა 2017 წელს ან შემდეგ, იმ მოგებიდან რომელიც დაგროვილია 2016 წლამდე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საგადასახადო კრედიტი ადრე გადახდილ გადასახადებზე.

მიმდინარე საგადასახადო დაბეგვრის მოდელის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ არსებობს დროებითი განსხვავებები ასახულ აქტივებსა და ვალდებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის. შესაბამისად, **გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები**, როგორც ეს განსაზღვრულია IAS 12 „მოგების გადასახადი“-ში, 2017 წლის 1 იანვრიდან აღარ წარმოიქმნება.

3.9 დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) გადასახდელია საგადასახადო ორგანოსთვის საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის მიწოდებისთანავე, რომელიც გადახდილ უნდა იქნას არაუგვიანეს ოპერაციის თარიღის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. ჩასათვლელი დღგ ჩასათვლელია გადასახდელი დღგ-ის საპირწონედ დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისა. საგადასახადო ორგანო ნებას რთავს დღგ-ის ანგარიშსწორება განხორციელდეს წმინდა ღირებულების საფუძველზე.

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში

გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებული და გამუდგვნილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადასახდელსა და ჩასათვლელ დღგ-ს შორის სხვაობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ შექმნილია მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხისთვის, დღგ-ის ჩათვლით.

3.10 თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი ითვლება იმ სარგებლად, რომლებიც სრულად გაიცემა ანგარიშგების წლის დასრულებიდან თორმეტ თვეში, და მოიცავს:

- ხელფასები, ანაზღაურება და ბონუსები;
- ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ანაზღაურებადი შრომისუუნარობის პერიოდები;
- სოციალური დაზღვევის შენატანები და სხვა სოციალური გადასახადები.

როდესაც დასაქმებულები აწვდიან კომპანიას მომსახურებას საანგარიშო პერიოდში, კომპანია აღიარებს თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებლის არადისკონტირებულ თანხას შემდეგნაირად:

- როგორც ვალდებულებას (დაგროვილი ხარჯი), უკვე გადახდილი ოდენობის დაქვითვის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ გადახდილი თანხა აღემატება მოსალოდნელ ხარჯს, გადაჭარბებული ნაწილი აღიარება აქტივად (წინასწარ გადახდილ ხარჯად), იმ დრომდე, სანამ ის გამოიწვევს მომავალი ხარჯების შემცირებას ან თანხის დაბრუნებას.
- როგორც ხარჯი, თუკი ის არ შედის აქტივის თვითღირებულებაში.

ანაზღაურებადი შვებულებები

მოკლევადიანი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ხარჯი აღიარებულია შემდეგნაირად:

- **დაგროვილი ანაზღაურებადი შვებულების შემთხვევაში** — იმ დროს, როდესაც დასაქმებული უწევს მომსახურებას, რომელიც ზრდის მის უფლებას მომავალში შვებულების აღებაზე.
- **არადაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულების შემთხვევაში** — უშუალოდ შვებულების მოხმარების დროს.

შენიშვნა 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.11 შემოსავალი

შემოსავალი აღიარებულია იმ ოდენობით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

საკონსულტაციო მომსახურება

შემოსავლის აღიარების საფუძველია ყოველთვიური ინვოისები და მიღება-ჩაბარების აქტი. Spribe Georgia LLC-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება "Aviator" LLC-თან, რომლის თანახმადაც კომპანია ყოველთვიურად აწვდის "P2P თამაშებს" და "სოციალურ თამაშებს".

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

ასევე, Spribe Georgia-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დედა კომპანიასთან – Spribe OU-თან, რომლის საფუძველზეც კომპანია უწევს შემდეგ მომსახურებებს:

- იურიდიული და შესაბამისობის მომსახურება;
- სისტემური ადმინისტრირება და IT მონიტორინგი;
- საფინანსო მომსახურება;
- შესყიდვების მომსახურება;
- მარკეტინგი და გრაფიკული დიზაინი;
- ბიზნესის განვითარების მომსახურება.

მომსახურების ანაზღაურება შედგება **ფიქსირებული საკომისიოსა და ხარჯების ანაზღაურებისგან**. ფიქსირებული საკომისიო განსაზღვრულია ხელშეკრულების შესაბამის დანართში თითოეული მომსახურების მიხედვით.

სამუშაოს მიმდინარეობისას, კლიენტებს, როგორც წესი, ყოველთვიურად ეგზავნებათ ინვოისები. საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადაუხდელი ნებისმიერი თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც დებიტორული დავალიანება, რადგან ამ თანხების გადახდისთვის საჭიროა მხოლოდ გარკვეული დროის გასვლა.

შენიშვნა 4 – მნიშვნელოვანი სააღრიცხო შეფასებები და მსჯელობები

შეფასებები და მსჯელობები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა შესაბამის ფაქტორებს, მათ შორის მოლოდინს მომავალი მოვლენების შესახებ, რომლებიც მოცემულ გარემოებებში გონივრულია.

კომპანია აფასებს და გარკვეულ დაშვებებს აკეთებს მომავალთან დაკავშირებით. აღნიშნული შეფასებები შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგებს. ქვემოთ მოცემულია იმ შეფასებებისა და ვარაუდების მაგალითები, რომლებმაც მომდევნო საანგარიშო წლის განმავლობაში შეიძლება არსებითად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადები და მიიჩნევს, რომ ეს ვადები არსებითად არ განსხვავდება აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადებისგან. თუ ფაქტობრივი სასარგებლო ვადები განსხვავებული აღმოჩნდება, ამან შეიძლება არსებითად იმოქმედოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს სპრაიბ საქართველო
ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

შენიშვნა 5 – ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	საოფისე ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	ჯამი
2022 წლის 31 დეკემბერი	22,607	10,719	33,326
დამატება	161,545	125,836	287,381
ჩამოწერა	—	—	—
2023 წლის 31 დეკემბერი	184,152	136,555	320,707
დამატება	126,919	23,303	150,222
ჩამოწერა	(13,370)	(4,048)	(17,418)
2024 წლის 31 დეკემბერი	297,701	155,810	453,511

დაგროვილი ცვეთა:

	საოფისე ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	ჯამი
2022 წლის 31 დეკემბერი	4,310	922	5,232
წლიური ცვეთა	20,101	23,900	44,001
ჩამოწერა	—	—	—
2023 წლის 31 დეკემბერი	24,411	24,822	49,233
წლიური ცვეთა	52,501	27,827	80,328
ჩამოწერა	(7,761)	(1,469)	(9,230)
2024 წლის 31 დეკემბერი	69,151	51,180	120,331

შპს სპრაიბ საქართველო
ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

საბალანსო დირეზულება:

	საოფისე ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	ჯამი
2022 წლის 31 დეკემბერი	18,297	9,797	28,094
2023 წლის 31 დეკემბერი	159,741	111,733	271,474
2024 წლის 31 დეკემბერი	228,550	104,630	333,180

შენიშვნა 6 – სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკ, 2024	31 დეკ, 2023
Aviator LLC	339,317	419,995
Spribe OU	228,528	267,682
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	567,845	687,677

შენიშვნა 7 – ფულადი სახსრები და ფულადი ექვივალენტები

სავალუტო ანგარიშები	31 დეკ, 2024	31 დეკ, 2023
საბანკო ანგარიში GEL	551,619	101,781
საბანკო ანგარიში USD	3,240	3,105
საბანკო ანგარიში EUR	489,956	391,505
საბანკო ანგარიში GBP	137	133
სულ	1,044,952	496,524

შპს სპრაიბ საქართველო
ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

შენიშვნა 8 – სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკ, 2024	31 დეკ, 2023
სავაჭრო		
დავალიანებები	160,642	623,537
დარიცხული ხელფასები	391,959	–
სულ	552,601	623,537

შენიშვნა 9 – შემოსავალი

	31 დეკ, 2024	31 დეკ, 2023
კომპიუტერული თამაშები	3,100,477	3,456,214
სხვა მომსახურება*	2,970,631	1,750,311
სულ	6,071,108	5,206,525

* სხვა მომსახურებაში შედის იმ მომსახურებების ღირებულება, რომლებსაც კომპანია უწევს დედა კომპანიას და მოიცავს:

1. იურიდიულ და შესაბამისობის მომსახურებას
2. სისტემურ ადმინისტრირებას და IT მონიტორინგს
3. ფინანსურ მომსახურებას
4. შესყიდვებს
5. მარკეტინგსა და გრაფიკულ დიზაინს
6. ბიზნესის განვითარებას

შენიშვნა 10 – გაყიდული მომსახურების ღირებულება

	2024	2023
წარმოების ანაზღაურება	2,098,553	1,243,473
პროგრამული უზრუნველყოფის		
ლიცენზიებისა და მომსახურებაზე		
გადახდილი ხარჯები	217,033	241,935
ელექტრონული კონტროლის სისტემის		
ხარჯები*	147,750	194,256
სულ	2,463,336	1,679,664

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

* აღნიშნული ხარჯები უკავშირდება საქართველოს ერთიანი ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვასა და მართვას, რაც განსაზღვრულია „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშების ორგანიზების შესახებ“ საქართველოს კანონით.

შენიშვნა 11 – ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 (ლარი)	2023 (ლარი)
ადმინისტრაციის ხელფასები და ანაზღაურება	2,173,591	1,898,217
პროფესიული და იურიდიული მომსახურება	378,136	25,282
საოფისე იჯარის ხარჯები	240,220	189,001
საგადასახადო ხარჯები	104,521	100,965
ცვეთა და ამორტიზაცია	80,329	44,002
საოფისე ნივთების ხარჯები	34,521	55,973
კომუნალური ხარჯები	31,863	6,902
რემონტის ხარჯები	14,370	1,186
ტრენინგის ხარჯები	8,984	7,000
დაცვის მომსახურების ხარჯები	7,383	193,746
საკომუნიკაციო ხარჯები	5,202	-
საბანკო მომსახურება	3,148	2,026
სატრანსპორტო მომსახურება	250	1,590
მივლინებების ხარჯები	-	1,935
მარკეტინგული მასალები	-	831
სხვა ხარჯები	8,201	1,994
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	3,090,719	2,530,650

შენიშვნა 12 – ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული არც ერთ არსებით სასამართლო პროცესში. კომპანიის მენეჯმენტის აზრით, არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი დავალიანება ან ზარალი, რომელიც არ არის აღრიცხული და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ არის შექმნილი.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და კომერციული კანონმდებლობა ზოგჯერ იძლევა ერთზე მეტ ინტერპრეტაციას კონკრეტული ოპერაციებისათვის. მეტიც საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება კომპანიის საქმიანობის შესახებ სუბიექტური შეფასების

შპს სპრაიბ საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ლარში

საფუძველზე, რაც იწვევს რისკს, რომ ზოგიერთი ოპერაცია ან საქმიანობა კლასიფიცირდეს მენეჯმენტის შეფასებისგან განსხვავებულად. მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტი თვლის, რომ სწორად აქვს ასახული ყველა საგადასახადო ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში, არსებობს რისკი, რომ საგადასახადო ორგანოებმა კომპანიის საქმიანობა სხვაგვარად დააკვალიფიცირონ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების დაკისრება.

შენიშვნა 13 – დაკავშირებული მხარეების გარიგებები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს შორისაა მისი მშობელი კომპანია და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები, მენეჯმენტი და სხვა. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღწერილია ქვემოთ:

შემოსავალი	2024	2023
Spribe OU	2,970,631	1,750,308
მენეჯმენტის ხელფასის ხარჯი	2024	2023
ხელფასის ხარჯი	418,922	332,147
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2024	2023
Spribe OU	143,053	582,101
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024	2023
Spribe OU	228,528	267,682

შენიშვნა 14 – ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

2025 წლის 13 ივნისს, კომპანიამ დანიშნა ახალი დირექტორი – მიხეილ ლეჟავა, რომელმაც შეცვალა წინა დირექტორი. მენეჯმენტის ეს ცვლილება განხორციელდა ანგარიშგების პერიოდის შემდეგ და არ ახდენს გავლენას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ანგარიშგების პერიოდის შემდეგ არ ყოფილა ისეთი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდა დამატებით განმარტებებს ან კორექტირებებს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დოკუმენტის დასასრული